ხელშეკრულება №02/209

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი 19 05 2011 წელი

ერთის მხრივ,

სასჯელაღსრულების,პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო
(ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის 42),
წარმოდგენილი მინისტრის მოადგილის გიორგი არსოშვილის სახით,
საიდენტიფიკაციო კოდი: №204564934
სახელმწიფო ხაზინა კოდი: 220101222 ა/ა № 200122900;

(შემდგომში "შემსყიდველი")

და მეორეს მხრივ

შპს ,,ტოიოტა ცენტრი თბილისი"(თბილისი დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-20კმ 0132)
წარმოდგენილი დირექტორის ირაკლი გურჩიანის სახით (ტელ: 522-022;540-102 877-57-53-57)
საიდენტიფიკაციო კოდი: 211346220
საბანკო რეკვიზიტები: სს „საქართველოს ბანკი";
ბანკის კოდი: BAGAGE22;
ა/ა: GE83BG0000000121227200

(შემდგომში "მიმწოდებელი")

"სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის "თ" ქვეპუნქტის საფუძველზე დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს საჭიროებისათვის ავტომანქანა "Toyota camry" (სახ.N-SVD 900 VIS-603152541) ტექნიკური მომსახურების შესყიდვა (სათადარიგო ნაწილებით და მასალებით უზრუნველყოფა), დანართი N1-ის შესაბამისად; (cpv 50100000)

2. გამოყენებული ტერმინების განმარტებები
ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

2.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ - „ხელშეკრულება") - შემსყიდველ ორგანიზაციასა და პრეტენდენტს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

2.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

2.3 „შემსყიდველი ორგანიზაცია“ (შემდგომ „შემსყიდველი“) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

2.4 „მიმწოდებელი“ ნიშნავს პირს, რომელმაც მოიპოვა გამარჯვება ტენდერში და უწევს მომსახურებას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

2.5 „დღე“, „კვირა“, „თვე“ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

3.1 შემსყიდველს უფლება აქვს განახორციელოს კონტროლი რათა დარწმუნდეს მომსახურების ხარისხში.

3.2 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.

3.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა შენიშვნის აღმოფხვრა.

3.4 ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულების სხვა ვალდებულებებისაგან.

3.5 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი ლაშა კახაძე.

4. მომსახურების გაწევის პირობები,ხარისხი და გარანტია

4.1 მიმწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმებიდან უზრუნველყოს შემსყიდველისათვის მომსახურება/საქონლის გაწევის დაწყება საკუთარი ხარჯებით.

4.2 მიმწოდებელი ვალდებულია გაუწიოს შემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო მომსახურება.

4.3 მომსახურება/საქონლის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს დადგენილ სტანდარტებს.

4.4 აღნიშნულ ავტომანქანაზე საგარანტიო ვადა ვრცელდება 2012 წლის 1 იანვრამდე ან 100000 კმ.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 მომსახურების მიღებას აწარმოებს მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი ლაშა კახაძე.

5.2 მომსახურება/საქონლის მიღება ხდება მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.(ანგარიშფაქტურის ან/და სასაქონლო ზედნადების გამოწერით.)

6. ანგარიშსწორება

6.1 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში;

6.2 დაფინსების წყარო: 2011 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი.

6.3 ანგარიშსწორება განხორციელდება ფაქტიურად გაწეული მომსახურების და მიწოდებული საქონლის მიხედვით, მიღება–ჩაბარების აქტის საფუძველზე და სხვა დოკუმენტაციის (საგადასახადო ანგარიშ–ფაქტურა, სასაქონლო ზედნადები და ა.შ.) წარდგენიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში.

7. ფასები

7.1 შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.

7.2 შესყიდვი ობიექტის დეტალური განფასება მოცემული დანართში N1;

7.3 შესყიდვის ობიექტის ღირებულება შეადგენს 5000 (ხუთი ათასი) ლარს;

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

8.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

8.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

8.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

9. უფლებების გადაცემა

9.1 მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები მესამე პირს.

10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, - ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით, ხოლო, თუკი ადგილი აქვს ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობას, პირგასამტეხლო შეადგენს ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ს.

10.2 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

10.3 საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

11.1 შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

11.1.1 თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია უზრუნველყოს მომსახურების გაწევა ან მისი ნაწილისა;

11.1.2 თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.

11.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11.3 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

11.3.1 თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

11.3.2 მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

11.3.3 თუ მისთვის ცნობილი გახდება, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბი აღმოჩნდება;

11.3.4 საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

12. ფორს-მაჟორი

12.1 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლისა ან/და მომსახურების მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

12.2 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი

მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

13. სადაო საკითხების გადაწყვეტა

13.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

13.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

14. ხელშეკრულების ენა

14.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე 3 ეგზემპლიარად და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.

15. შეტყობინება

15.1 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, ელ. ფოსტის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

15.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

16. გადასახადები და დაბეგვრა

16.1 მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, თუ ხელშეკრულების სპეციფიკური პირობებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

17. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

17.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ზემოთ მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2011 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
სასჯელაღსრულების,პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო	შპს „ტოიოტა ცენტრი თბილისი“
ბიორგი ბერსოშვილი	ირაკლი გურჩიანი

ა/მ ტოიოტა

	დასახელება	მომსახურება	ტარიფი ლარში
1	აბლიცოვკა	მოხსნა/დაყენება	15
5	გასაღები	მოხსნა/დაყენება/ინსტ.	120
6	დინამო	მოხსნა/დაყენება	70
7	დიფუზორი	მოხსნა/დაყენება	50
8	ზედა გიტარა	მოხსნა/დაყენება	70
9	ზედა გიტარის ვტულკა	მოხსნა/დაყენება	70
10	ზეთის ფილტრი	მოხსნა/დაყენება	15
11	თერმოსტატი	მოხსნა/დაყენება	70
12	კაპოტი	მოხსნა/დაყენება	25
13	კაპოტის პეტლი	მოხსნა/დაყენება	30
14	კონდიციონერის რადიატორი	მოხსნა/დაყენება	35
15	კონდიციონერის ფილტრი	მოხსნა/დაყენება	15
16	მარცხენა სარკე	მოხსნა/დაყენება	25
17	მარჯვენა სარკე	მოხსნა/დაყენება	25
18	მაყუჩი (კომპ)	მოხსნა/დაყენება	360
19	მაყუჩის ბალიში	მოხსნა/დაყენება	15
20	ნაკანეჩნიკი	მოხსნა/დაყენება	25
21	პროპელერი	მოხსნა/დაყენება	50
23	საბარგულის ფარი	მოხსნა/დაყენება	15
24	სანთელი	მოხსნა/დაყენება	25
27	საწვავის ფილტრი	მოხსნა/დაყენება	60
28	საჭის სპირალი	მოხსნა/დაყენება	25
29	სტარტერი	მოხსნა/დაყენება	70
30	სტუპიცის სალნიკი	მოხსნა/დაყენება	70
31	უდარნი ნაკანეჩნიკი	მოხსნა/დაყენება	25
32	უკანა ამორტიზატორი	მოხსნა/დაყენება	50
33	უკანა ბამპერი	მოხსნა/დაყენება	30
34	უკანა ბამპერის სალასკა	მოხსნა/დაყენება	25
35	უკანა ბრეზგავიკი	მოხსნა/დაყენება	15
36	უკანა განივი შტანგა	მოხსნა/დაყენება	15
37	უკანა გრძელი შტანგა	მოხსნა/დაყენება	15
39	უკანა კარი	მოხსნა/დაყენება	120
40	უკანა კარის მინა	მოხსნა/დაყენება	35
41	უკანა კარის პატარა მინა	მოხსნა/დაყენება	30
42	უკანა ლინკის რეზინი	მოხსნა/დაყენება	15
45	უკანა მოკლე შტანგა	მოხსნა/დაყენება	15
46	უკანა მშრალი ამორტიზატორის ლინკა	მოხსნა/დაყენება	15

47	უკანა მშრალი ამორტიზატორის	მოხსნა/დაყენება	15
49	უკანა სამუხრუჭე შლანგი	მოხსნა/დაყენება	25
50	უკანა საყრდენი დისკი	მოხსნა/დაყენება	50
51	უკანა სტუპიცა	მოხსნა/დაყენება	70
52	უკანა ფარი	მოხსნა/დაყენება	15
55	უკანა ხუნდები	მოხსნა/დაყენება	25
56	ქვედა გიტარა	მოხსნა/დაყენება	70
57	ქვედა გიტარის ტულკა #1	მოხსნა/დაყენება	70
58	ქვედა გიტარის ტულკა #2	მოხსნა/დაყენება	70
59	ღვედი	მოხსნა/დაყენება	35
60	ღვედის დამჭიმი	მოხსნა/დაყენება	35
61	ყუმბარის პილნიკი	მოხსნა/დაყენება	70
62	ცაბკა	მოხსნა/დაყენება	70
63	ძრავის უკანა სალნიკი	მოხსნა/დაყენება	600
64	ძრავის წინა სალნიკი	მოხსნა/დაყენება	95
65	წინა ამორტიზატორი	მოხსნა/დაყენება	50
66	წინა ამორტიზატორის ჩაშკა	მოხსნა/დაყენება	50
67	წინა ბამპერი	მოხსნა/დაყენება	60
68	წინა ბამპერის სალასკა	მოხსნა/დაყენება	25
69	წინა ბრეზგავიკი	მოხსნა/დაყენება	15
71	წინა კარი	მოხსნა/დაყენება	120
72	წინა კარის მინა	მოხსნა/დაყენება	35
74	წინა მშრალი ამორტიზატორის ლინკა	მოხსნა/დაყენება	25
75	წინა მშრალი ამორტიზატორის რეზინი	მოხსნა/დაყენება	25
76	წინა პადკრილნიკი	მოხსნა/დაყენება	25
77	წინა სამუხრუჭე შლანგი	მოხსნა/დაყენება	15
78	წინა საქარე მინა	მოხსნა/დაყენება	240
81	წინა საყრდენი დისკი	მოხსნა/დაყენება	50
82	წინა სტუპიცა	მოხსნა/დაყენება	70
83	წინა სტუპიცის საკისარი	მოხსნა/დაყენება	70
84	წინა ფარი	მოხსნა/დაყენება	15
85	წინა ფრთა	მოხსნა/დაყენება	60
86	წინა ყუმბარა	მოხსნა/დაყენება	70
87	წინა ხუნდები	მოხსნა/დაყენება	25
88	წყლის ავზი	მოხსნა/დაყენება	60
89	წყლის პომპა	მოხსნა/დაყენება	160
90	წყლის რადიატორი	მოხსნა/დაყენება	50
92	ხელის მუხრუჭის ხუნდები (კომპ)	მოხსნა/დაყენება	35
95	ჰიდრავლიკის პომპა	მოხსნა/დაყენება	70
96	ჰიდრავლიკის რემკომპლექტი	მოხსნა/დაყენება	70
97	ციმციმის და ხმამაღლა მოლაპარაკე მოწყობილობის	მოხსნა/დაყენება	180

№	სათადარიგო ნაწილი	ერთეული	ერთეულის ფასი	მწარმოებელი ქვეყანა	მომსახურეობის ფასი	შენიშვნა
1	წინა სამუხრუჭე ხუნდები	კომპ	200	იაპონია	25	
2	უკანა სამუხრუჭე ხუნდები	კომპ	150	იაპონია	25	
4	ქვედა გიტარა	ცალი	450	იაპონია	70	
8	წინა მორგვის საკისარი	ცალი	160	იაპონია	60	
10	ბურთულოვანი (შარავოი) ქვედა	ცალი	240	იაპონია	30	
12	მარჯვენა ყუმბარა	ცალი	2400	იაპონია	70	
13	მარცხენა ყუმბარა	ცალი	2100	იაპონია	70	
14	წინა ამორტიზატორი	ცალი	600	იაპონია	50	
15	უკანა ამორტიზატორი	ცალი	600	იაპონია	50	
16	წინა ამორტიზაციის ბალიში (ჩაშკა)	ცალი	200	იაპონია	50	
17	უკანა ამორტიზატორის ბალიში (ჩაშკა)	ცალი	300	იაპონია	50	
18	კაპოტის ამორტიზატორი	ცალი	240	იაპონია	10	
21	წყლის გამაგრილებელი ავზი (რადიატორი)	ცალი	1900	იაპონია	50	
22	კონდენციონერის გამაგრილებელი ავზი	ცალი	2000	იაპონია	80	
23	კონდენციონერის კომპრესორი	ცალი	4800	იაპონია	80	
31	წინა საყრდენი დისკი	ცალი	450	იაპონია	50	
32	წევის დაბოლოება ბუნიკი (ნაკანეჩნიკი)	ცალი	290	იაპონია	25	
34	მაყუჩი კომპლექტში	კომპ	3000	იაპონია	360	
35	გადაცემათა კოლოფის ბალიში	ცალი	240	იაპონია	60	
36	მშრალი ამორტიზატორი	ცალი	380	იაპონია	25	
38	წინა ზამბარა	ცალი	200	იაპონია	50	
39	უკანა ზამბარა	ცალი	270	იაპონია	35	
42	ძრავქვეშა ბალიში	ცალი	400	იაპონია	25	
43	ზეთის ფილტრი	ცალი	35	იაპონია	15	
46	კონდენციონერის ფილტრი	ცალი	130	იაპონია	15	
47	საწვავის ფილტრი	ცალი	280	იაპონია	60	
48	ანთების სანთელი	ცალი	50	იაპონია	25	
49	სანთლის ჩიბუხი	ცალი	270	იაპონია	10	
50	თერმოსტატი	ცალი	55	იაპონია	70	
51	ძრავის წინა ჩობალი	ცალი	30	იაპონია	70	
52	ძრავის უკანა ჩობალი	ცალი	80	იაპონია	600	
53	კარის საკეტი	ცალი	600	იაპონია	160	
54	საჭის დამცავი ბალიში (აირბაკი)	ცალი	2500	იაპონია	30	
55	ტორპედოს დამცავი ბალიში (აირბაკი)	ცალი	2000	იაპონია	360	
56	გენერატორი	ცალი	1800	იაპონია	70	
57	გენერატორის ღვედი	ცალი	320	იაპონია	25	
58	ძრავის ბლოკის თავი (გალოვკა)	ცალი	4200	იაპონია	720	
60	წყლის ტუმბო	ცალი	360	იაპონია	160	
61	საწვავის ტუმბო	ცალი	840	იაპონია	60	
62	საჭის გამაძლიერებელის ტუმბო	ცალი	1600	იაპონია	50	
63	ზეთის ტუმბო	ცალი	220	იაპონია	25	
64	უკანა საქარე მინა	ცალი	1300	იაპონია	240	

65	წინა საქარე მინა	ცალი	1300	იაპონია	240	
66	ამძრავი (სტარტერი)	ცალი	1400	იაპონია	70	
67	ხმოვანი საყვირი	ცალი	120	იაპონია	15	
68	დამუხტვის რელე	ცალი	90	იაპონია	70	
69	ფეჩის გამაგრილებელი ავზი	ცალი	1000	იაპონია	500	
70	წინა მაშუქი (ფარი)	ცალი	1200	იაპონია	15	
71	უკანა მაფრთხილებელი მაშუქი	ცალი	370	იაპონია	15	
77	სალონის მაჩვენებლების დაფა	ცალი	2800	იაპონია	15	
78	სალონში უკანა ხედვის სარკე	ცალი	1070	იაპონია		
79	საქარე მინის საწმენდი ჩოთქები	ცალი	130-110	იაპონია		
80	საბარგულის საკეტი	ცალი	400	იაპონია	40	
81	კომუტატორი ან მეხსიერების ბლოკი	ცალი	2800	იაპონია	30	
82	ღერო (სტერჟინი)	ცალი	170	იაპონია	35	
89	უკანა დამცავი ბამპერი (შიტოკი)	ცალი	600	იაპონია	30	
90	მარცხენა გვერდითი სარკე	ცალი	1000	იაპონია	35	
91	მარჯვენა გვერდითი სარკე	ცალი	900	იაპონია	35	
96	წინა ფრთა	ცალი	600	იაპონია		
97	უკანა ფრთა	ცალი	1100	იაპონია		
98	რადიატორის წყლის გადამწოდი	ცალი	120	იაპონია		
100	ძრავის ამთვლელი გადამწოდი	ცალი	160	იაპონია		
101	კატალიზატორის გადამწოდი	ცალი	400	იაპონია		
102	უკანასვლის მაჩვენებელი გადამწოდი	ცალი	400	იაპონია		
103	საჭის გასაღები	ცალი	620	იაპონია	120	
104	საჭის მექანიზმი	ცალი	3000	იაპონია	არ რემ.	
106	ბაბინა	ცალი	270	იაპონია		

შემსყიდველი:

სასჯელაღსრულების,პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო

ბიორგი ამირეშვილი

მიმწოდებელი:

შპს „ტოიოტა ცენტრი თბილისი“

ირაკლი გურჩიანი

ზეთები

#	დასახელება	რაოდ	ფასი
1	სინთეტიკა	**1** ლ	**20** ლ
2	ნ/სინთეტიკა	**1** ლ	**18** ლ
3	ავტომატური კოლოფის ზეთი	**1** ლ	**30** ლ
4	მექანიკური კოლოფის ზეთი	**1** ლ	**36** ლ
5	ანტიფრიზი	**1** ლ	**15** ლ
6	ხიდის ზეთი	**1** ლ	**15** ლ
7	ხიდის ზეთი **(LSD)**	**1** ლ	**50** ლ
8	ჰიდრავლიკის ზეთი	**1** ლ	**35** ლ
9	სამუხრუჭე სითხე	**1** ლ	**15** ლ

სასჯელაღსრულების,პრობაციისა და იურიდიული
დახმარების საკითხთა სამინისტრო

_____

ეროვნებ.პასუხმგებელი

შპს „ტოიოტა ცენტრი თბილისი“

_____

ირაკლი გურჩიანი

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

ვიზირებულია:

2011 წელი 19.05

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის 4პუნქტის თანახმად საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს მიერ №02/209 ხელშეკრულებით (გამარტივებული შესყიდვა) განხორციელებულ შესყიდვასთან დაკავშირებული ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით.

მინისტრის მოადგილე _____ გ.არსოშვილი

ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი _____ ა. ჯებისაშვილი

შესყიდვების სამმართველოს უფროსი _____ ლ.მაღლაკელიძე

სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსი _____ გ. გორაძე

საბუღალტრო აღრიცხვის სამმართველოს უფროსი _____ ე.ალიმბარაშვილი

მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი _____ ლ.კახაძე